



# ს.ს.ი.პ. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო

## ბრძანება

N 2-1168

09/10/2015

ქ. თბილისი

### **„მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ შესახებ**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2013 წლის 20 სექტემბრის N2-206 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 სექტემბრის N461 დადგენილებით დამტკიცებული „მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის“ (შემდგომში - სახელმწიფო პროგრამა) მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის და მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

#### **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად განკუთვნილი სარეგისტრაციო ფორმა დანართი 1-ის შესაბამისად.
2. განმცხადებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მიერ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა განისაზღვროს შემდეგნაირად:
  - ა) ბიზნეს ოპერატორად რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;
  - ბ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მეპაიეთა რეესტრის ასლი;
  - გ) ამონაწერი შემოსავლების სამსახურის ელექტრონული პორტალიდან;
  - დ) ცნობა ფინანსური ინსტიტუტიდან, რომელიც ადასტურებს, რომ კოოპერატივს არ გააჩნია ვადაგადაცილებული საკრედიტო დავალიანება.
3. სარეგისტრაციო ფორმის წარდგენასთან ერთად ან/ და რეგისტრაციის შემდგომ ამ ბრძანების მე-4 პუნქტით გასაზღვრულ ვადაში, განმცხადებელი კოოპერატივი ვალდებულია სააგენტოს წარუდგინოს ამ ბრძანების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტები. დოკუმენტების წარდგენა შესაძლებელია როგორც ელექტრონულად, ისე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ სააგენტოში წარმოდგენით.
4. სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად განაცხადების წარდგენის ვადა განისაზღვროს 2015 წლის 12 ოქტომბრიდან 2015 წლის 23 ოქტომბრამდე.
5. სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი კაპიტალური ინვესტირებით სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის გადაცემული სკების აღრიცხვა/რეგისტრაცია განხორციელდეს სკაზე სააღრიცხვო ნიშნის დამაგრებით,

რომელზეც დატანილი იქნება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლოგო, სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ლოგო, ინდექსი „GE“ და უნიკალური ოთხნიშნა საიდენტიფიკაციო ნომერი.

6. ამ ბრძანების მე-2 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაციის შემოწმება დაევალოთ სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს მიზნობრივი პროგრამების სამსახურის უფროს სპეციალისტს - გიორგი თელიაშვილს და ადმინისტრაციული სამსახურის მთავარ სპეციალისტს - დარეჯან ფოჩხიძეს.
7. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ თავად.
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი მიშელაძე



თავმჯდომარე